შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

ინგლისურის როგორც უცხოური ენის სტრატეგიული სწავლა-სწავლება მოსწავლეების გამოცდებისათვის მოსამზადებლად (ერთიანი ეროვნული გამოცდების მაგალითი საქართველოში)

მერი იობიძე

განათლების მეცნიერებებში სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2019

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ფარჯანაძე

პროფესორი, დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი



(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება):

1. პროფესორი, დოქტორი ეკატერინე ფიფია
2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი მარიამ ბანძელაძე

ოპონენტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება):

1. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნინო უგლავა

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნინო ნიჟარაძე
3. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი თამარ მიქელაძე

შესავალი

დღესღეობით ინგლისური ენის როლი განათლების, ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროში სათანადოდ უნდა იქნას შეფასებული. ეს ფაქტორი ასევე ზეგავლენას ახდენს ინგლისურის ენის სტატუსის ფორმირებაზე და მის სწავლებაზე როგორც უცხოური ან მშობლიური ენისა.

ინგლისური ენის ცოდნაზე მზარდი მოთხოვნილების გამო რიგმა ქვეყნებმა შეიმუშავეს გარკვეული ტაქტიკა ინგლისური ენის სწავლების გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ არც საქართველო აღმოჩნდა გამონაკლისი. ერთ-ერთი ასეთი რეფორმა ითვალისწინებდა ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებას, რომლის შედეგებიც განსაზღვრავს მიიღებს თუ არა კონკრეტული მოსწავლე ადგილს სასურველ უნივერსიტეტში. ამასთანავე, თითქმის ყველა დამსაქმებელი მოითხოვს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სეთიფიკატს. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც 2005 წელს საქართველო ჩაერთო ბოლონიის პროცესში, ქართველი სტუდენტები მოწადინებულნი არიან სწავლა გააგრძელონ უცხოურ უნივერსიტეტებში, რომელთა უმეტესობაც ინგლისური ენის კომპეტენციის მაღალი დონეს მოითხოვს. ზემოთ მოცემულმა ყველა ფაქტორმა გააჩინა ინგლისური ენის მაღალ დონეზე შესწავლისა და საერთაშორისო სერთიფიკატების მიღების სურვილი.

თუმცა, მხოლოდ გამოცდის ჩაბარება საკმარისი არ ის. იმისათვის რომ სტუდენტები სასურველ უნივერსიტეტში ჩაირიცხონ საჭიროა მაღალი ქულების მიღება. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია სწავლება განხორციელდეს ეფექტური სტრატეგიების საშუალებით. ამგვარად, შემსწავლელი იძენს შესაბამის უნარებსა და თვითდაჯერებულობას, რაც ეხმარება მას მიაღწიოს სასურველ შედეგს გამოცდებზე. აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბევრი სკოლისა და მასწავლებლისთვის ძველი მეთოდების ახლით ჩანაცვლების პროცესი საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

2005 წლიდან, მას შემდეგ. რაც ეროვნული გამოცდების მოდელი იქნა დანერგილი, კანდიდატების ჩაჭრის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (Geostat.ge, 2019; Naec.ge, 2019), რაც აშკარას ხდის ფაქტს რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სწრავლა-

სწავლების მიდგომები სათანადოდ არ მუშაობს. მრავალმა ფაქტორმა შეიძლება განაპირობოს კანდიდატთა წარუმატებლობა, თუმცა უმთავრესი ფაქტორი სავარაუდოდ სწავლისა და სწავლების არაეფექტური მეთოდებია. არსებობს მთელი რიგი დაბრკოლებები რამაც ეფექტური სწავლება შეუძლებელი გახადა. როგორც მკვლევარის პირადმა გამოცდილებამ და კვლევის პროცესში ჩატარებულმა დაკვირვებებმა აჩვენა, ეს ფაქტორები შეიძლება იყოს მოსწავლეთა დიდი რაოდენობა კლასებში, აკადემიური საათების სიმცირე, არასაკმარისი კომუნიკაცია გაკვეთილის მსვლელობისას, არასათანადოდ აღჭურვილი საკლასო ოთახები, თანამედროვე ტექნოლოგიების სიმცირე, მასწავლებლების ავტორიტატული მიდგომები და მოსწავლეების არასაკმარისი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. ერთ ერთი მიზეზი, ასევე შესაძლებელია იყოს მშობლიური ენის დიდი დოზით გამოყენება კლასში. ამასთანავე. მოძველებული მეთოდების მიმდევარ მასწავლებლებს არ ჰქონდათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენისა და მათზე მუშაობის უნარები. ჰარი (Harr, 2008) აცხადებს რომ 'მოსწავლეები აგებენ ცოდნს მასწავლებლების მხარდაჭერის შედეგად და ამგვარად მოსწავლე ვითარდება' (გვ. 12-13). ამრიგად, მასწავლებლებმა უნდა უზრუნველყონ შესაფერისი სტრატეგიების მოსწავლეებისთვის მიწოდება რაც მათ დაეხმარებათ დამოუკიდებელ შემსწავლელებად ჩამოყალიბებაში.

კვლევის პრობლემატიკა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველო ჩართულია ბოლონიის პროცესში. საერთაშორისო სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფად, განათლების სფეროში განხორციელდა გარკვეული რეფორმები. პარლამენტმა შეიმუშავა ცვლილებები ქვეყანაში განათლების სისტემის მარეგულირებელი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში, მათ შორის „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, "უმაღლესი განათლების დონის შესახებ" საქართველოს კანონში (მუსხელიშვილი, 2019; ბრეგვაძე, 2013). განხორციელებულმა რეფორმება გაზადა ინგლისურ ენაზე მოთხოვნილება. შეიცვალა ეროვნული სასწავლო გეგმა, რასაც მოჰყვა ძველი სასწავლო რესურსებისა და სწავლების მეთოდების ცვლილება. ახალი სასწავლო გეგმის მიზნების განხოციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ახალი მიდგომებისა და სწავლების

სტრატეგიების შემუშავებით (ეროვნული სასწავლო ცენტრის პორტალი, 2019). შემუშავებული რეფორმის გარკვეული ნაწილი მასწავლებლებზეა ფოკუსირებული, რადგან მათ კომპეტენციები ეჭვის ქვეშ დგება. მასწავლებელზე ორიენტირებული მოდელი შეიცვალა მოსწავლესზე ორიენტირებულ მიდგომად, მაგრამ მასწავლებლებს ჯერ კიდევ წამყვანი როლი აქვთ მოსწავლეთა განვითარებაში. მიუხედვად იმისა, რომ სტუდენტები აქტიური მსმენელებად იქცნენ, სწავლა-სწავლების ძველი მეთოდები ჯერ კიდევ ფართოდ არის გამოყენებული და შესაძლებელია სწორედ ეს იწვევდეს არასასურველ შედეგს გამოცდებზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ მასწავლებსა და მოსწავლეებს უბიძგა მოკლევადიანი სასწავლო მიზნებზე ორიენტირებისკენ, რაც გულისხმობს ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური ზღვარის გადალახვას. გამოცდების ეროვნული ცენტრის (Naec, 2019) მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ანალიზი ადასტურებსრომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი მინიმალურ ზღვართან ახლო ქულებს იღებენ. მოსწავლეები არ არიან მომზადებული რეალურ ცხოვრებაში კომუნიკაციისთვის, ამ შემთხვევაში ინგლისური ენის სათანადოდ გამოყენებისთვის. გარდა ამისა, როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, სკოლაში ბევრ მოსწავლეს არ აქვს ინფორმაცია სტრატეგიებზე, რომლებიც მათ დაეხმარება ენობრივი მიზნების მიღწევაში.

კვლევის მიზნები

კვლევის მიზნებია:

- შეისწავლოს ქართველი პედაგოგების და მოსწავლეთა პრაქტიკა, აზრები და დამოკიდებულებები სწავლისა და სწავლების პროცესისადმი, თუ როგორ მოემზადონ სათანადოდ გამოცდებისთვის
- დადგინდეს მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით სწავლებისა და სწავლის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კვლევის მთავარი მიზანი არის განისაზღვროს მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება

- დადებითად მოქმედებს თუ არა მოსწავლეთა შედეგებზე

- ზრდის თუ არა მოტივაციას
- პოზიტიურად განაწყობს თუ არა მოსწავლეს ინგლისური ენის შესწავლისადმი
- ეხმარება თუ არა მოსწავლეებს მართონ სასწავლო პროცესი და გახდნენ დამოუკიდეებელი შემსწავლელები

კვლევის მთავარი მიზანი იყო განგვესაზღვრა მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენების ყველა შესაძლო დადებითი და უარყოფითი მხარე კითხვის, წერის და მოსმენის დავალებების შესრულებისას. განხილულია მხოლოდ სამი უნარი. მეტყველების უნარი არ არის განხილული, რადგან ის არ შედის ერთიანი ეროვნული გამოცდების ინგლისური ენის საკითხებში.

სიახლე

მოცემული კვლევის სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- აჩვენებს თანამედროვე მიდგომას სწავლებისა და სწავლის მიმართ;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ კვლევა ძალიან მწირია. ასევე გამოცდების დავალებების შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში არ იყო განხილული.
- ძალიან მწირი რესურსი არსებობს ქართველი მასწავლებლებისთვის, რომელიც განიხილავს მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებას ქარტულ კონტექსტში
- გარდა ამისა, განხილულია ენათა ერთიანი ევროპული ჩარჩო (CERF) და საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს შორის შესაბამისობა.

აქტუალობა

კვლევა მნიშვნელოვანია მრავალი მიზეზის გამო. პირველ რიგში, იგი იძიებს PISA- ში ქართველი მოსწავლეების დაბალი შედეგების მიზეზებს. ამასთან, იმის მიუხედავად, რომ არსებობს მთელი რიგი კვლევები მეტაკოგნიტური სტრატეგიების ეფექტურად გამოყენების შესახებ, ისინი არ არიან ორიენტირებული ქართულ კონტექსტზე. პედაგოგები მონაწილეობას იღებენ ტრენინგებში სადაც მათ ასწავლიან სხვადასხვა აქტივობებს, თუმცა მათ უჭირთ სტრატეგიების სწავლება და დამოუკიდებელი შემსწავლელების ფორმირების ხელშეწყობა. დისერტაცია მათთვის შესაძლებელია

იყოს სახელმძღვანელო როგორც მასწავლებლების ასევე დაბალი მიღწევის მქონე მოსწავლეებისთვის, რომლებიც არ იყენებენ ეფექტურ სტრატეგიებს, რადგან არა მარტო სწავლების, არამედ სწავლის სტრატეგიებიც არის განხილული ნაშრომში.

პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევას აქვს მკაფიო პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ის აღწერს სწავლისა და სწავლების ეფექტურ სტრატეგიების და მათი საკლასო აქტივობებში განხორციელების მნიშვნელობას. შემუშავებულმა დასკვნებმა და რეკომენდაციებმა შესაძლებელია დადებითად იმოქმედოს მასწავლებლების მუშაობაზე და, შესაბამისად, ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა ასევე განისაზღვრება იმით, რომ დისერტაცია წარმოადგენს თანამედროვე რესურსს მასწავლებლებისთვის, განსაკუთრებით ქართველი მასწავლებლებისთვის, რადგან იგი ეხება ქართულ კონტექსტს. ასევე დისერტაცია საინტერესო იქნება პოლიტიკის შემქმნელებისათვის, სკოლის ხელმძვანელებისა და მოსწავლეებისთვის. მათ შეუძლიათ მიიღონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია და რეკომენდაციები სწავლა-სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

თეორიული მნიშვნელობა

მიმდინარე კვლევის თეორიული საფუძველია:

- სამი წრის მოდელი (Kachru, 1985)
- ბორბლის მოდელი (Wheel Model) (McArthur, 1987)
- თეორიები კომუნიკაციური კომპეტენციის შესახებ (Hymes, 1973; Celce-Murcia, 2001; Crowe, 2003)
- კომუნიკაციური სწავლებისა და სწავლის შესახებ კვლევები (Rogers, 2002; Richards & Renandya, 2002)
- მეტაკოგნიტური სტრატეგიები (Chamot & Kupper, 1989; Wenden, 1998; Brown, 2007)
- მეტაკოგნიტური სტრატეგიები და მათი ეფექტურობა (Kanfer & Ackerman, 1989; Pajares, 2002)

- დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების როლი (Cross & Paris, 1988; Brown, Armbruster & Baker, 1986)
- მეტაკოგნიტური სტრატეგიების როლი ლექსიკის განვითარებაში (Gu, 2005; Schmitt, 2000)
- მეტაკოგნიტური სტრატეგიების როლი მოსმენილის გაგებაში. (Steinberg, 2007; Vandergrift, 1997; Goss, 1982; Ferris, 1998)
- მეტაკოგნიტური სტრატეგიების როლი წერის პროცესში. (Graham & Macaro, 2008; De la Paz, 1999),

კვლევარების აზრით, მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეებს შესწევთ უნარი განსაზღვრონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები. წარმატებული მოსწავლეები აკვირდებიან საკუთარი სწავლების პროცესს; ისინი გეგმავენ სტრატეგიებს, არგებენ კონკრეტულ დავალებას და შემდგომ აფასებენ მიღწეულ შედეგს (Brown, Armbruster და Baker, 1986, გვ. 49). მთავარი მიზანი თანამედროვე განნათლების სფეროში არის დამოუკიდებელი შემსწავლელის ჩამოყალიბება, რადგან სწორედ ეს განსაზღვრავს მათ წარმატებას. დისერტაციაში განხილული ყველა თეორია ადასტურებს, რომ მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება უზრუნველყოფს ეფექტურ სწავლა-სწავლებას.

კვლევის შეკითხვები

კვლევის კითხვები არის შემდეგი:

- აძლიერებს თუ არა მეტაკოგნიტური სტრატეგიის სწავლება ინგლისურის როგორც უცხო ენის მოსწავლეთა კითხვის, მოსმენისა და წერის უნარებს?
- როგორ შეუძლია მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს ხელი შეუწყოს ინგლისურის როგორც უცხო ენის კითხვის, მოსმენისა და წერის დავალებების გააზრებას?
- რა სტრატეგიებს იყენებენ პედაგოგები ინგლისური ენის კომპეტენციის გასაუმჯობესებლად?
- რა სტრატეგიებს იყენებენ მოსწავლეები ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლის დროს?

- რა სტრატეგიებს იყენებენ მოსწავლეები, რომ მოხდეს დავალების სწორად გააზრება?
- როგორ შეიძლება მეტაკოგნიტური სტრატეგიების სწავლება ყველაზე ეფექტურად?
- რა გავლენა მოახდინა მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებამ გამოცდების შედეგებზე?

კვლევის ჰიპოთეზა

კვლევამ შემდეგი ჰიპოთეზები გამოსცადა:

1. ნულოვანი ჰიპოთეზა:

ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელი მოსწავლეები რომლებიც იყენებენ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს და ის მოსწავლეები, რომლებიც არ იყენებენ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს, აჩვენებენ ერთსა და იმავე შედეგს გამოცდებში.

2. ალტერნატიული ჰიპოთეზა:

ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელი მოსწავლეები რომლებიც იყენებენ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს უფრო მაღალ შედეგს აჩვენებენ გამოცდებში, ვიდრე ის მოსწავლეები, რომლებიც არ იყენებენ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს.

ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელი მოსწავლეები რომლებიც იყენებენ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს უფრო დაბალ შედეგებს აჩვენებენ გამოცდებში, ვიდრე ის მოსწავლეები, რომლებიც არ იყენებენ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლა-სწავლების სტრატეგიების შესახებ მოსწავლეთა გამოცდებისთვის მომზადების მიზნით

ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებაზე მსჯელობისას, თავად ამ უკანასკნელის ცნება უნდა იყოს განხილული. ეს კონცეფცია მჭიდრო კავშირშია კაჩრუსთან (1985 წ.), რომელმაც თეორიულად წარმოადგინა ინგლისური ენის მსოფლიოში გავრცელება და ინგლისური როგორც უცხო ენა მიაკუთვნა გარე წრეს. ეს დაყოფა მნიშვნელოვანია, რადგან მკაფიოდ განსხვავდება ინგლისურის როგორც მეორე ენის სწავლება ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისგან.

სტრატეგიის ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლებისა და მოსწავლისთვის. ფსიქოლოგები დიდი ხანია საუბრობენ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ზეგავლენის მნიშვნელობაზე სტუდენტთა სწავლის რეგულირებისა და ეფექტურობის გაზრდაზე(Bain, 2012; Tomlinson, 2003). Kuhn and Dean (2004). კუნი და დინი (Kuhn & Dean, 2004) აცხადებენ, რომ მეტაკოგნიტურად განვითარებული მოსწავლე ფლობს სტრატეგიებს რომელთაც იყენებს კონკრეტულ კონტექსტში. ფლაველი (1979) განმარტავს. რომ ასეთი მოსწავლეების გონებაში მიდის კოგნიტური პროცესების მონიტორინგი რასაც ისინი მიჰყავს საკუთარი შეცდომების გაცნობიერებისა და მათ გამოსწორებისკენ, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ეფექტური სწავლისთვის (Bain, 2012). მეტაკოგნიტური სწავლა-სწავლება ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას და აყალიბებს დამოუკიდებელ მოსწავლეს, რომელიც მიუხედავად გრამატიკული თუ ლექსიკური ცოდნის ნაკლებობისა მაინც ახერხებს კომუნიკაციაში ჩაბმას.

მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება ეფექტურია კითხვის უნართან მიმატებაში, ამ რადგანაც საქმე ეხება შემეცნების პროცესის რეგულირებას. გუდმანის (1970) აზრით, არსებობს ორისტრატეგია - ზემოდან-ქვემოთ და ქვემოდან-ზემოთ (top-down and bottom-up), რომელთა გამოყენება შესაძლებელია კითხვის დავალების შესრულებისას. ზემოდა-ქვემოთ მიდგომა მოცავს წინარე ცოდნის გააქტიურებასა და საჭირო ინფორმაციის გამორჩევას. ქვემოდან-ზემოთ სტრატეგია კი გულისხმობს ლექსიკური ერთეულების, მორფემების, გრამატიკულ ნიშნების იდენტიფიცირებას ტექსტის გააზრებისთვის. დიუკისა და პირსონის(2002) აზრით ეფექტურია შემდეგი სტრატეგიები: პროგნოზირება, ღმამაღლა ფიქრის მიდგომა, ვიზუალური მოდელების გამოყენება, შეჯამება და შეკითხვების დასმა. შმიტის თანახმად (2000) ლექსიკის სწავლებაში არსებობს ორი ზოგადი მიდგომა: იმპლიციტური და ექსპლიციტური. პირველი სტრატეგიით სწავლება ნიშნავს, რომ სიტყვის მნიშვნელობა გამომდინარეობს კონტექსტიდან (Huckin & Coady, 1999). ასეთი სწავლება აუმჯობესებს მოსწავლეთა ლექსიკასა და კითხვის უნარს. ასევე, ემსახურებ მოტივაციის ამაღლებას.

მოსმენა არის კიდევ ერთი უნარი, რომლის განვითარება შესაძლებელია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით. მოსმენის დავალება დიდი სიფრთხილით უნდა შეირჩეს. ის უნდა იყოს დაძლევადი რათა არ მოხდეს მოტივაციის დაწევა შემსწავლელებში. მოსწავლეთა მოსმენის უნარის განვითარება შესაძლებელია დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების აქტივობებში ჩართვით (Goh, 1997).

ზემოდან-ქვემოთ და ქვემოდან-ზემოთ სტრატეგიები უნდა განიხილოს მოსმენის უნართან მიმართებაშიც. ბევრ მასწავლებელს მოსწონს ზემოდან-ქვემოთ სტრატეგიები, რადგან ის მოიცავს პროგნოზირებას, ჩამონათვალის გაკეთებას და გაზრებას (Birjandi, & Rahimi, 2012; Clement, 2007; Field, 2008 ამასთან, ქვემოდან-ზემოთ სტრატეგიები ასევე შეიძლება გამოსადეგი იყოს მოსმენის დავალების უკეთ გააზრებაში რადგან ის ეხება ლექსიკის, გრამატიკისა და წარმოთქმის მახასიათებლებს. (Vandergrift & Tafaghodtari, 2010)

წერა, რომელიც მოსწავლეებისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა, შეიძლება გაუმჯობესდეს მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით (Rogers, & Graham, 2008; Kiuhara, Graham, & Hawkin, 2009). სხვადასხვა მკვლევარებისთვის სტრატეგიებია პრიორიტეტული. გაკონტროლებული პრაქტიკა ძალზე მნიშვნელოვანია ამოცანის შესრულებისას; ამ დროს მასწავლებელი აქტიურად არის ჩართული წერის პროცესში (Webb, 2009; Porte, 1995). წერის უნარის განვითარების კიდევ ერთი სტრატეგია არის თავისუფალი წერა. დე ლა პაზის(1999) მიერ შემოთავაზებული სტრატეგია გულისხმობს საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის თავისუფალი წერის დავალების არაერთხელ მიცემას, რომლის დროსაც მასწავლებელი შეცდომებს სკურპულოზულად არ ასწორებს.

წერის უნაის განსავითარებელი კიდევ ერთი სტრატეგია არის პროცესზე ორიენტირება (Brown, 2001). მოცემული სტრატეგია ორიენტირებულია არა შედეგზე, არამედ წერის პროცესზე. ინსტრუქტორები, რომლებთაც მოსწონთ ეს მიდგომა, მოსწავლეს მოუწოდებენ თავდაპირველად შექმნან იდეების მონახაზი და შემდგომ განავრცონ ისინი. ამრიგად, მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი და წახალისებულნი არიან წერის უნარის გასაუმჯობესებლად.

რეემი (2008) და კოენის (1998) აზრით წერის სწავლება უნდა გულისხმობდეს სტრატეგიების პირდაპირ სწავლებას, შემდგომ მათ ვარჯიშს ანუ დავალებების შესრულებას. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს აარჩიოს ის კონკრეტული სტრატეგია რომელიც, მათი აზრით, ყველაზე ეფექტურია მოცემულ კონტექსტში.

თავი 2. კვლევის კონტექსტი და გამოცდები საქართველოში

გასულ საუკუნეში, კორუფციის მაღალი მაჩენებელი პირდაპირ კავშირში იყო მოსყიდვისა და ნეპოტიზმის ფაქტებთან განათლების სფეროში. ამ თემებმა საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო და აქტიუად განიხილებოდა მასმედიაში. (გაეროს განვითარების პროგრამა, 2004). მოსყიდვის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეული იყო იმით, რომ უნივერსიტეტში ადგილის მისაღებად ორი გზა არსებობდა. პირველი, სტუდენტი ინდივიდუალურად მუშაობდა კონკრეტულ ლექტორთან, რომელი ჩართული იყო მიღების პროცესში. მეორე გზა მიმღები ორგანოს მოსყიდვა იყო. ორივე შემთხვევაში სტუდენტებს წვდომა ჰქონდათ გამოცდაზე გამოსაყენებელ მასალასთან. (ორქოდაშვილი, 2010). ამრიგად, არ არსებობდა განათლებაზე კონტროლი , რამაც განაპირობა არაადეკვატური, უხარისხო განათლების გავრცელება.

მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა ბოლონიის პროცესის წევრი, ქართული საგანმანათლებლო სისტემა მნიშვნელოვნად შეიცვალა. რეფორმის მიხედვით, უმაღლესი განათლების მიღების მსურველებმა უნდა მიიღონ მაღალი ქულები ერთიან ეროვნულ გამოცდებში, რათა ჩაირიცხონ სასურველ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში. გამოცდის ქულები განსაზღვრავს მიიღებენ თუ არა სასწავლო გრანტს და ადგილს, როგორც საჯარო, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

ბოლო პერიოდში ტესტებში მიღებული ქულების კავშირი სკოლის მიღწევებთან კამათის საგანი გახდა. სკოლის დამამთავრებელი და საუნივერსიტეტო გამოცდები ძირითადად ერის განათლების კომპეტენციის ასამაღლებლად ტარდება. საქართველოში ასეთ გამოცდად მიიჩნევა ერთიანი ეროვნული გამოცდები. დაბალი ქულის მეღებამ შესაძლებელია მოსწავლე დატოვოს სტუდენტის სტატუსის გარეშე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების სამი ძირითადი მიზანია:

- ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ
- თანაბარი შესაძლებლობა ყველა სოციალური ფენისთვის
- მერიტოკრატული შერჩევა

ერთიანი ეროვნული გამოცდების დანერგვამ შექმნა გამჭვირვალე ტესტირების სისტემა და მნიშვნელოვნად შეამცირა კორუფციის მაჩვენებელი განათლებაში. ასევე, გამოცდებმა მოითხოვა სასკოლო სასწავლო პროგრამების გადახედვა (EPPM, 2009). უფრო მეტიც, აუცილებელი გახდა სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა. ამან გამოიწვია მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მათ უნარების განახლებას და ახალ გამოწვევებზე თავის გართმევას. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაზე ჩატარებული გამოცდა ამოწმებს ცოდნის მხოლოდ მცირე ნაწილს. ზოგადად უცხო ენის ცოდნა გულისხმობს კომპეტენციის მინიმუმ ოთხი ძირითადი სფეროს არსებობას: წერა, კითხვა, მოსმენა და საუბარი. აღნიშნული გამოცდები ამოწმებს მხოლოდ წერა-კითხვა-მოსმენის კომპეტენციებს და ისიც ნაწილობრივ. ასევე საკმაოდ შეუსაბამოა, როდესაც ინგლისურენოვანი გამოცდის განმავლობაში აბიტურიენტებს წინადადების თქმაც კი არ უწევთ ინგლისურად.

მკვლევარის მიერ მოხდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შედარება ეროვნული გამოცდების ფორმატსა და მოთხოვნებთნ. გამოიკვეთა, რომ გამოცდების მიერ შემოწმებული ცოდნა და უნარები მჭიდროდ არ არის დაკავშირებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ეს უკანასკნელი ფართო მოთხოვნებს უყენებს მოსწავლეს. მკვლევარის მოსაზრება ემთხვევა ღვედაშვილის (2019) აზრს, რომელიც ირწმუნება, რომ იმისდა მიუხედავად, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რამდენიმე საკითხი შედის გამოცდებში, რაც ძირითადად მოსმენის, კითხვისა და წერის უნარებს ეხება, ტესტის ფორმატი არ აძლევს აბიტურიენტებს საშუალებას გამოავლინონ სხვა უნარ-ჩვევებ (ღვედაშვილი, 2019). როგორიცაა სოციალური უნარები, კრეატიულობა, ინტელექტი, თანატოლებზე ზრუნვა და სხვა.

მიზანშეწონილია განვიხილოთ, აქვს თუ არა საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმას მჭიდრო კავშირი მთელ მსოფლიოში აღიარებულ დოკუმენტთან, ენების ერთიანი ევროპული ჩარჩო (CERF) და ემთხვევა თუ არა მათი მიზნები და მოთხოვნები ერთმანეთს. საქართველოში აბიტურიენტები, რომელთაც სურთ უნივერსიტეტში

ჩაბარება, უნდა გააჩნდეთ B1 დონის ცოდნა ოთხივე უნარში. აშკარაა, გარკვეული კავშირების არსებობა საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმას და ენების ერთიან ევროპულ ჩარჩოს (CEFR) შორის.

თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი

კვლევის მთავარი მიზანი, როგორც შესავალში იყო აღნიშნული შემდეგია:

1. დადგინდეს, თუ/როგორ შეიძლება მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებამ ხელი შეუწყოს ინგლისურ ენაზე კითხვის, მოსმენის და წერის უნარების განვითარებას

2. გაირკვეს, თუ რა სტრატეგიებს იყენებენ მასწავლებლები ეფექტური გააზრებისთვის

3. გაეცნონ იმ სტრატეგიებს, რომელთაც მოსწავლეები იყენებენ

4. მეტაკოგნიტური სტრატეგიების სწავლების ყველაზე ეფექტური მეთოდების ჩამოყალიბება

კვლევის მეთოდები

კვლევა მოიცავს შემდეგ მეთოდებს

- საკვლევ თემაზე არსებული ლიტერატურის ანალიზი;
- ექსპერიმენტი
- ექსპერიმენტამდე, ექსპერიმენტისას და ექსპერიმენტის შემდგომი ტესტები
- ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი
- ინტერვიუები სტუდენტებთან და მასწავლებლებთან და მათი ანალიზი
- გაკვეთილზე დაკვირვებები
- თვითშეფასება
- მასწავლებელთა ტრენინგი

კვლევა ჩატარდა საქართველოს ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, რომელიც ორიენტირებულია ფიზიკისა და მათემატიკის გაძლიერებულ და დაჩქარებულ სწავლებაზე. რაკი კვლევა ორიენტირებული იყო ეფექტურ სტრატეიებზე რომლებიც დაეხმარებათ მოსწავლეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში, ექსპერიმენტის მონაწილეები შეირჩა დამამთავრებელი კლასებიდან: 11 და 12. გარდა ამისა, აღნიშნული საჯარო სკოლა იქნა შერჩეული, რადგან მასში დიდი

რაოდენობითაა სხვადასხვა საჭიროებისა და შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები, რამაც კვლევა რთული, მაგრამ საინტერესო გახადა.

ექსპერიმენტი სამ სემესტრს გაგრძელდა. ჩატარდა ორი კვლევა. ერთი 2016-2017 სასწავლო წლებში, ხოლო მეორე - 2017-2018 სასწავლო წლებში. 2016-2017 წელს იყო ორი (2) ექსპერიმენტული (40 მოსწავლე: 20 12 – კლასელი და 20 11 – კლასის მოსწავლე) და ერთი (1) საკონტროლო (20 მოსწავლე - 12 – კლასის მოსწავლე) ჯგუფი. ორი ექსპერიმენტული ჯგუფიდან 1 ჯგუფი იყო 12-კლასელებისგან შემდგარი, ხოლო ჯგუფი 2 - 11 – კლასის მოსწავლებისგან. 2017-2018 სასწავლო წელს სკოლაში მოსწავლეთა მობილობა მოხდა; ამრიგად, ექსპერიმენტულ ჯგუფში მხოლოდ 18 მოსწავლე დარჩა (ექსპერიმენტული ჯგუფი 2, რომელმაც ექსპერიმენტში მონაწილეობა გააგრძელა 2017-2018 სასწავლო წელს). რაც შეეხება საკონტროლო ჯგუფს, შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა 12 კლასის ერთ-ერთი ჯგუფი - ისინი, ვინც წინა წელს არ მონაწილეობდნენ ექსპერიმენტში. ჯგუფში იყო 19 მოსწავლე. სამივე ჯგუფი, რომელიც თავდაპირველად შეუერთდა 2016-2017 სასწავლო წელს ექსპერიმენტს და ერთი საკონტროლო ჯგუფი, რომელიც 2017-2018 სასწავლო წელს მონაწილეობდა კვლევაში, ჯგუფებში შერეული უნარების მოსწავლეები იყვნენ. კემბრიჯის A2 დონის (11-კლასი 2016-2017 სასწავლო წლის სასწავლო პროცესში) და B1 დონის ტესტები (12-კლასი 2016-2017 და 2017-2018 სასწავლო წლის სასწავლო პროცესში) იქნა გამოყენებული როგორც წინასწარი, ექსპერიმენტის დროს და ექსპერიმენტის შემდგომ ტესტები, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ტესტირების პროცესის მაღალი სანდოობა

სტუდენტები მუშაობდნენ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებზე. ექსპერიმენტული ჯგუფი მეტაკოგნიტური სტრატეგიების გაცნობას კურსის პირველივე დღიდან შეუდგა. ამასთან, განხორციელდა გაკვეთილზე დაკვირვებები.

ჩატარდა ინტერვიუები იმ მასწავლებლებთან, რომლებიც მუშაობდნენ აღნიშნულ საჯარო სკოლაში. მხოლოდ სამი მასწავლებელი იღებდა კვლევაში მონაწილებას, რადგან მხოლოდ ისინი ასწავლიდნენ 11 და 12 კლასებს ბოლო 2 წლის განმავლობაში. ინტერვიუ ჩატარდა ინგლისურად და ჩაწერილი იყო მასწავლებლების ნებართვით.

ინტერვიუ ჩატარდა ექსპერიმენტამდე, რამდენიმე საკითხის იდენტიფიცირების მიზნით.

ასევე, ექსპერიმენტის დაწყებამდე ჩატარდა მასწავლებელთა ტრენინგი, სადაც მოხდა მეტა-კოგნიტური სტრატეგიების გაცნობა. პრეზენტაცია გაკეთდა PowerPoint– ში და ჩატარდა იმავე სკოლაში. პრეზენტაცია მოიცავდა მეტაკოგნიტური სტრატეგიების განმარტებას და მათი გამოყენების მნიშვნელობას ახსნას. განიმარტა რამდენად მნიშვნელოვანია ასწავლონ სტუდენტებს დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიები. თუკი ისინი მოახერხებენ საკუთარი თავის შეფასებას, ისინი შეძლებენ დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ სხვადასხვა სახის დავალებას

ტრენინგის მსვლელობისას მკვლევარმა წარმოადგინა მასალა ერთიანი ეროვნული გამოცდების ინგლისური ენის ნაშრომებიდან. მასწავლებლებმა თითოეულ დავალებას გარკვეული სტრატეგიები შეურჩიეს, გააკეთეს თვით შეფასებაც. ამგვარად, მათ დაადგინეს, რამდენად წარმატებული იყო არჩეული სტრატეგიები კონკრეტული ამოცანის შესრულებისას. ტრენინგის ბოლო ეტაპზე მოხდა კლასში მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების განხილვა.

ამის შემდეგ, ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეებს ასწავლეს, თუ როგორ უნდა აკონტროლონ მათი კითხვის, წერის და მოსმენის პროცესი, შეაჯამონ, დაუსვან შეკითხვები, განმარტონ და გამოიტანონ დასკვნები. პროცესი ძირითადად ინგლისურად იმართებოდა. თუმცა, დასაშვები იყო მშობლიური ენის გამოყენება საჭიროების შემთხვევაში.

ექსპერიმენტის მსვლელობისას შემდეგი სტრატეგიები იქნა შესწავლილი მოსწავლეთა მიერ. მკვლევარი ასწავლიდა ექსპერიმენტულ ჯგუფს და ჩაატარა სამოქმედო კვლევა. რამაც ხელი შეუწყო ყველაზე ეფექტური სტრატეგიების გამოვლებას.

ასევე ექსპერიმენტის შემდეგ ჩატარდა სტუდენტებთან ჯგუფური ინტერვიუები, რათა გამოგვევლინა მათი დამოკიდებულება და გამოცდილება ექსპერიმენტის შემდგომ. ინტერვიუ ჩატარდა ქართულად. მათი მშობლიურ ენა იყო გამოყენებული კითხვების არასწორად ინტერპრეტაციის ან გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

კვლევის შედეგები

ექსპერიმენტის განმავლობაში ყველა მოვლენის დაფიქსირების მიზნით, ქვემოთ მოცემულ ცხრილებში მოცემულია მოსწავლეთა მიღწევის ჰოლისტიკური მიმოხილვა

აღწერითი სტატისტიკა

	N	Mean	Std. Deviation	Skewness		Kurtosis	
	Statistic	Statistic	Statistic	Statistic	Std. Error	Statistic	Std. Error
UNEs Sample Test	19	69.21	15.870	.045	.524	-1.523	1.014
Valid N (listwise)	19						

ცხრილი 1 კვლევა 1 - საკონტროლო ჯგუფის ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტის ნიმუშის შედეგები

ცხრილი 1 გვიჩვენებს 2016-2017 სასწავლო წლის ეროვნული გამოცდის ტესტის ნიმუშის შედეგებს საკონტროლო ჯგუფისთვის, რომელიც დაწერეს, ექსპერიმენტის შემდეგ. ჯგუფის საშუალო მაჩვენებელი 100 დან 69 ქულაა. სტანდარტული გადახრა საკმაოდ მაღალია 15,88, მაგრამ მცირე ზომის ჯგუფებთან ეს შეიძლება მოხდეს, რადგან თუნდაც ერთმა დონორმა შეიძლება გაზარდოს სტანდარტული გადახრა/ მიუხედავად იმისა, რომ ტესტის შედეგების skewnessდარჩა მისაღები დიაპაზონის ფარგლებში (+ 1 / -1), მონაცემების მახვილი (kurtosis) -1 (-1.523)- ზე მეტია, რაც ნიშნავს რომ საკონტროლო ჯგუფის ტესტის შედეგები ოდნავ მიმოფანტულია და ნორმალურად არ არის გადანაწილებული.



გრაფიკი 1 კვლევა 1 - საკონტროლო ჯგუფის ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტის შედეგების ანალიზი

ამრიგად, გრაფიკი 1 ნათლად გვიჩვენებს, რომ საკონტროლო ჯგუფის ტესტის შედეგები მისაღებია მონაცემთა გადახრის (skewness) თვალსაზრისით, მაგრამ მონაცემთა მახვილი (kurtosis) გვიჩვენებს, რომ ჯგუფში ბევრი გადახრაა, ამიტომ ტესტის შედეგებში არ არის ერთგვაროვნება.

საინტერესო იყო ექსპერიმენტული ჯგუფი 1-ს შედეგები

აღწერითი სტატისტიკა

	N	Mean	Std. Deviation	Skewness		Kurtosis	
	Statistic	Statistic	Statistic	Statistic	Std. Error	Statistic	Std. Error
UNEs Sample Test	19	79.84	15.115	-.788	.524	.016	1.014
Valid N (listwise)	19						

ცხრილი 2 კვლევა 1 - ექსპერიმენტული ჯგუფი 1 ერთიანი ეროვნული გამოცდების ნიმუშის ტესტის შედეგები

როგორც ცხრილი 2 აჩვენებს, ეჯ 1 აჩვენა გაცილებით უკეთესი შედეგები ეროვნული გამოცდების ტესტის ნიმუშში, რადგან ჯგუფის საშუალო მაჩვენებელი თითქმის 80 ქულაა (79.84) 100-დან, მაშინ როცა საკონტროლო ჯგუფის ტესტის საშუალო შედეგი იყო 69.21. რაც შეეხება მონაცემთა გადახრას (skewness), სტატისტიკურად მისაღები დიაპაზონში რჩება, ხოლო მონაცემთა მახვილი (kurtosis) თითქმის მისაღებია. ამრიგად, ექსპერიმენტული ჯგუფის 1 – ის შედეგებმა აჩვენა რომ კვლევის მიერ განხორციელებული ჩარევა ეფექტური იყო. ცხრილი 3 ადარებს და აჯამებს ექსპერიმენტის პირველი ნაწილის შედეგებს საკონტროლო ჯგუფისა და პირველი ექსპერიმრნტული ჯგუფისათვის.

მკვლევარმა აქ არ განიხილა ეროვნული გამოცდების ტესტების შედეგები მეორე ექსპერიმენტული ჯგუფისათვის რადგან ამ დროისთვის ეს იყო 11 კლასი. მათი პირველი კვლევის ეროვნული გამოცდების ნიმუშის ტესტის შედეგები იქნა შედარებული მეორე კვლევის ნიმუშებთან რათა თვალსაჩინო ყოფილიყო განვითარება.

აღწერითი სტატისტიკა

	N	Mean	Std. Deviation	Skewness		Kurtosis	
	Statistic	Statistic	Statistic	Statistic	Std. Error	Statistic	Std. Error
UNEs Sample Test - EG1	19	79.8421	15.11535	-.788	.524	.016	1.014
UNEs Sample Test - CG	19	69.2105	15.86953	.045	.524	-1.523	1.014
Valid N (listwise)	18						

ცხრილი 3 კვლევა 1 - საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტების შედეგების შეპირისპირების ანალიზი

მეორე კვლევის შდეგები ნათლად აჩვენებს მოსწავლეთა განვითარებას ექსპერიმენტის მსვლელობისას

აღწერითი სტატისტიკა

	N	Mean	Std. Deviation	Skewness		Kurtosis	
	Statistic	Statistic	Statistic	Statistic	Std. Error	Statistic	Std. Error
UNEs Sample Test 1 - EG	18	76.94	9.078	-.262	.536	-.836	1.038
UNEs Sample Test 2 - EG	17	89.35	5.873	-1.151	.550	1.089	1.063
UNEs Sample Test 1 -CG	17	70.18	24.143	-.936	.550	.101	1.063
UNEs Sample Test 2 -CG	18	77.39	17.085	-1.195	.536	2.194	1.038
Valid N (listwise)	14						

ცხრილი 4 კვლევა 2 - ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტის შედეგები საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფებისათვის

ცხრილი 4 გვიჩვენებს კვლევის დინამიკას ექსპერიმენტის 2ნაწილში. ექსპერიმენტულმა ჯგუფმა გაცილებით უკეთესი შედეგი აჩვენა ეროვნული გამოცდების ტესტების ნიმუშებში. ექსპერიმენტული ჯგუფის ტესტის საშუალო საშუალო მაჩვენებელი იყო 76.94 და 70.18 100 ქულიდან. მეორე ტესტის საშუალო საშუალო მაჩვენებელი იყო 89,35 და 77.39; შესაბამისად, ტესტების საშუალო შედეგები ბევრად უკეთესი იყო. რაც შეეხება სტატისტიკურ მნიშვნელობას, ექსპერიმენტულმა ჯგუფმა ამ მხრივ უკეთესი შედეგიც აჩვენა. მონაცემთა გადახრა და მონაცემთა

მახვილი ძირითადად მისაღებ ფარგლებში იყო; საკონტროლო ჯგუფმაც კარგი შედეგი აჩვენა თუმცა ექსპერიმენტული ჯგუფის მიღწევა მნიშვნელოვნად მეტი იყო.

ზოგადი კვლევის სცენარის უკეთ წარმართვის მიზნით, მკვლევარმა შეიმუშავა გრაფიკები, რათა აჩვენოს ტესტის შედეგები მთელი ექსპერიმენტის განმავლობაში.



გრაფიკი 2 კვლევა 1 - საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფი 1 და ექსპერიმენტული ჯგუფი 2-ის კვლევამდე, კვლევის მსვლელობისას და კვლევის შემოდგომი ტესტების შედეგები

როგორც გრაფიკი 2 აჩვენებს, სამივე ჯგუფმა აჩვენა ტესტში უკეთესი შედეგები, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის ტესტის შედეგები განვითარების დინამიკის საჩვენებლად იყო. ამასთან, მათი ტესტის შედეგები არ არის შედარებული საკონტროლო ჯგუფისა და პირველი ექსპერიმენტული ჯგუფის ტესტის შედეგებთან, რადგან კემბრიჯის KET (A2) ტესტები გამოიყენეს 2 ექსპერიმენტულ ჯგუფთან და და Cambridge PET (B1) საკონტროლო და მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფთან. ამრიგად, საკონტროლო ჯგუფისა და პირველი ექსპერიმენტული ჯგუფის ტესტის შედეგები შედარებულია ამ შემთხვევაში.



გრაფიკი 3 კვლევა 2 - საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების კვლევამდე, კვლევის მსვლელობისას და კვლევის შემდგომი ტესტის შედეგები

გრაფიკი 3 გვიჩვენებს საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების ტესტების შედეგებს კვლევაში 2; თუმცა ორივე ჯგუფი აჩვენებს გაუმჯობესებას, ექსპერიმენტული ჯგუფის მიღწევა გაცილებით მეტია (შედარებისთვის იხ. ცხრილი 4), რაც კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ ჩარევა ეფექტური აღმოჩნდა

დასკვნები და რეკომენდაციები

მეტაკოგნიტური უნარების სწავლება მასწავლებლებისთვის სასწავლო დროის ეფეცტურად გამოყენებასთან პირდაპირ კავშირშია. როდესაც მოსწავლეებს უნარი აქვთ გამოყენებული სტრატეგიების ეფექტურობა შეაფასონ, ისინი უკეთ იღებენ გადაწყვეტილებებს თუ რა შეუძლიათ გააკეთონ სწავლის გასაუმჯობესებლად. ძლიერი მეტაკოგნიტური უნარები აძლიერებს მოსწავლეებს. კვლევამ გამოავლინა ძლიერი დადებითი დამოკიდებულება მოსწავლეთა კითხვის და მეტაკოგნიტური ცნობიერების დონეს შორის. ექსპერიმენტული ჯგუფის წევრებმა მეტაკოგნიტური სტრატეგიები გამოიყენეს უფრო შეგნებულად, მიზანმიმართულად.

მეტაკოგნიტური უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეებს საკუთარი სწავლის პროცესის აქტიურად აღქმის საშუალებას აძლევს. ამრიგად, სწავლის პროცესში მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ გზით მოსწავლეები საკუთარი კოგნიტური რესურსის უკეთ გამოყენებას სწავლობენ. ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად გამოტანილი დასკვნების მიხედვით, მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებას დადებითი ზეგავლენა აქვს კითხვის უნარის განვითარებაზე. სამიზნე ენაზე მოსწავლეთა კითხვის გააზრების უნარის განვითარების ერთ – ერთი გასაღები არის სტრტეგიების პირდაპირი სწავლება; რომელი მათგანი როდის უნდა გამოიყენონ და რაც მთავარია შეძლონ გამოყენებულ სტრატეგიების ეფექტურობის შეფასება. სწავლის პროცესში, ინსტრუქტორები ცდილობენ არა მხოლოდ თავად ჩართონ მოსწავლეები, არამედ ხელი შეუწყონ მათ, რომ ისინი თავად, საკუთარი ინიციატივით მუდმივად აქტიურად იყვნენ ჩართულები.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა ასწავლონ მოსწავლეებს კითხვის სტრატეგიები. მოსწავლემ უნდა იცოდეს რა ნაბიჯები უნდა გადადგას კითხვის აქტივობის წინ, მის განმავლობაში და მის შემდეგ. ასევე აუცილებელია სტრატეგიების პრაქტიკაში მავალჯერადად ჩადება. შემსწავლელება უნდა ისწავლონ როგორ უნდა აკონტროლონ თავიანთი კითხვის აქტივობა და როგორ მოამზადონ შეფასების გეგმა კითხვის აქტივობის შემდეგ. ასევე როგორ მოახდინონ საკუთარ აქტივობაზე უკუკავშირი და დასვან შეკითხვები რათა მოახდინონ ყველაზე ეფექტური სტრატეგიების გამორჩევა.

სასურველია ჩატარდეს უფრო გრძელვადიანი სწავლება უცხო ენის შესწავლაზე, პრობლემების გადაჭრისა და კითხვის გაგების საკითხებზე, რაც იმ სფეროებშია, სადაც მეტაკოგნიტური სტრატეგიები ეფექტურად გამოიყენება, და უნდა შემუშავდეს ზომები ამ სტრატეგიების განხორციელებისთვის.

1. ინგლისური ენის ცოდნა გახდა კარიერული წინსვლის აუცილებელი წინაპირობა. შესაბამისად, ინგლისური როგორც უცხო ენის სწავლება დიდი ყურადღების ქვეშ მოექცა. უმაღლეს საგანმანალებლო დაწესებულებებში მოხვედრისთვის აუცილებელი გახდა ერთიანი ეროვნული გამოცდების

ჩაბარება. უფრო მეტიც, ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სურთ უკეთეს სამუშაოზე წვდომა, საჭიროა ინგლისური ენის კომპეტენციის დონის დამტკიცება საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატებით. ინგლისური ენის ცოდნა აუცილებლობაა მათთვის, ვისაც სურს ჩააბაროს საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა.

2. გაკვეთილზე დაკვირვებებმა ცხადჰყო, რომ მასწავლებლები სწავლების მოძველებულ მეთოდებს იყენებენ. ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდი იყო gramma translation method , რადგან , როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს ეს მეთოდი დიდ დროს არ მოითხოვს და ამასთანავე მოსწავლეს პირდაპირ მიეწოდება სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა. ამ გზით სიტყვის მნიშვნელობის არასწორად გაგება გამოირიცხება. თუმცაღა ამასთან, ტესტის შედეგებმა გამოავლინა სიტყვების არარელევანტურ კონტექსტში გამოყენების გამოწვევები. რაკი მოსწავლეებს მხოლოდ კონკრეტული სიტყვის კონკრეტული ერთი მნიშვნელობა მიეწოდებათ ისინი ვერ ახერხებენ ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებას.
3. ტექნოლოგიური რესურსების ნაკლებობა მოსწავლეთა მოტივაციის დაცემას იწვევს. რაკი სკოლა საჯაროა და აფინანსებს სახელმწიფო, მას არ გააჩნია საკმარისი ტექნოლოგიური რესურსი, რაც თავის მხრივ იწვევს მოსწავლეთა მოტივაციის შემცირებასა და სხვადასხვა უნარის, განსაკუთრებით კი მოსმენის იშვიათ პრაქტიკას. ამასთანავე, გაკვეთილები არის ერთნაირი და მოსაწყენი.
4. მასწავლებლებისადმი ნდობის ნაკლებობა გამოვლინდა იმ ფაქტში რომ მოსწავლეები მიმართავენ კერძო მასწავლებლებს. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებმა ჩააბარეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები, მათდამი ნდობის ხარისხი მაინც დაბალია. ამის მიზეზები შემდეგია: უპირველესად, მასწავლებლები იყენებდენ მოძველებულ სტრატეგიებს რაც მნიშვენლოვნად აისახა მოსწავლეებზე. მეორეც, მეტისმეტად ბევრია დამოკიდებული ეროვნულ გამოცდებზე და მშობლები და მოსწავლეები ვერ რისკავენ მხოლოდ სკოლის მიერ მიცემულ ცოდნაზე დაყრდნობას. მესამეც, ზოგიერთ მშობელს სჯერა რომ

დამატებითი გაკვეთილები აუცილებელია, მაშინაც კი თუ სკოლის მასწავლებელი ამის საჭიროებას ვერ ხედავს ბავშვში

5. აკადემიური საათების ნაკლებობა და მოსწავლეთა დიდი რაოდენობა კლასებში ამცირებდა სწავლის ეფექტურობას. მასწავლებლების ტრენინგის დროს გაირკვა, რომ ზოგიერთი მასწავლებელი კარგად იცნობდა სწავლების თანამედროვე სტრატეგიებს, თუმცა ვერ ახერხებდნენ მათ გამოყენებას კლასში მცირე აკადემიური საათებისა და დიდი მასალის გამო.
6. მოსწავლეები და მასწავლებელები გამოცდების ჩაბარებაზე გახდნენ ორიენტირებულნი. ისინი არ ასწავლიან, არ სწავლობენ ენას შემდგომი გამოყენების მიზნით. ეროვნული გამოცდების დანერგვის შემდეგ ისინი გახდნენ ორიენტირებულნი მხოლოდ გამოცდების ჩაბარებაზე რადგან მოსწავლეთა მომავალი კარიერა სწორედ აღნიშნულ გამოცდებზეა დამყარებული. ვინაიდან მხოლოდ სამი უნარი იყო შემოწმებული ეროფნულ გამოცდაზე; კითხვა, წერა და მოსმენა, მოსწავლე-მასწავლებლები გახდნენ ორიენტირებულნი მხოლოდ მოცემულ უნარების ვარჯიშზე.მათი მიზნები გახდა მოკლევადიანი და შემოიფარგლებოდა მხოლოდ ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში. თუმცაღა უნივერსიტეტში სწავლისას ასევე საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობისას მათ შეექმნათ კომუნიციის პრობლემები რაც გამოწვეული იყო სწორედ ინგლისური ენის კომპეტენციის ნაკლებობით
7. მოსწავლეები რომლებიც მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს იყენებდნენ გაცილებით უფრო წარმატებით ართმევდნენ თავს კითხვის, წერის და მოსმენის დავალებებს. კვლევამ აჩვენა რომ საკონტროლო ჯგუფსაც ჰქონდა გაუმჯობესება თუმცა ექპერიმენტული ჯგუფის შედეგები გაცილებით მაღალი იყო. ამასთანავე, მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებამ ხელი შეუწყო დაბალი მიღწევების მქონე მოსწავლეების შედეგების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.
8. მოსწავლეებმა რომელთაც შეძლეს საკუთარი სწავლის პროცესის რეგულირება გახდნენ უფრო თავდაჯერებულნი და მოტივაციაც გაეზადათ. მეტაკოგნიტური

სტრატეგიების გამოყენებით მათ მოახერხეს დაუფლებოდნენ დაგეგმვის, რედაქტირებისა და შეფასების სტრატეგიებს რამაც მეტი თავდაჯერებულობა შესძინათ. ასევე, დაეხმარა მათ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების და მათთვის ყველაზე ეფექტური სტრატეგიების გამოვლენაში. თავდაჯერებულობამ გამოიწვია მოტივაციის ამაღლება. რაკი სასწავლო პროცესი გახდა საინტერესო და დავალების გააზრება და შესრულება გახდა მათთვის მიღწევადი, მოსწავლეები სიამოვნებით ერტვებოდნენ სასწავლო პროცესში

9. ინგლისურის სწავლისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულება დადებითი გახდა. მოტივაციის და თვითდაჯერებულობის ამაღლებამ, რომელიც განპირობებული იყო მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით, შეცვალა სტუდენტების დამოკიდებულება ინგლისური ენის სწავლის მიმართ. ეს ძირითადად დაბალი შედეგების მქონე მოსწავლეებს ეხება. დაინახეს რა პროგრესი ენის შესწავლის პროცესში, მათი დამოკიდებულება უფრო პოზიტიური გახდა და სწავლის პროცესი უფრო საინტერესო
10. მოსწავლეები, რომლებიც აქტიურად იყენებენ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს შეუძლიათ უცნობი კონტექსტზე თავის გართმევა და შეუსადაგონ კონკრეტული სტრატეგია კონკრეტულ დავალებას. მეტაკოგნიტური სტრატეგიების უწყვეტმა ვარჯიშმა ხელი შეუწყო მოსწავლეთა დამოუკიდებელ მსწავლელებად ჩამოყალიბებას რაც თავის მხრივ გულისხმობს მათ უნარს გამოიყენონ ეფექტური სტრატეგიები სხვადასხვა კონტექსტთან მიმართებაში. ეს კი სწორად გააზრებას უწყობს ხელს.
11. რეკომენდირებულია მსგავსი კვლევის უფრო ზოგად გარემოში ჩატარება და მეტი მასწავლებლის ჩართვა. ასევე კვლევა არ მოიცავდა კერძო სკოლებს. რეკომენდირებულია კვლევის ჩატარება კერძო სკოლებში რათა მოხდეს შედარება კერძო და საჯარო სკოლების შედეგებისა.

კვლევის შედეგები ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. Iobidze, M. (2017). Effective strategies raise writing competence of high school learners. *IRCELT 2017 Conference: 7th International Research Conference on Education, Language and Literature*. Tbilisi, International Black Sea University, vol. 2, 545-552.
2. Iobidze, M., (2018). The impact of metacognitive instruction on high school learners' listening comprehension. *The Scientific Journal Association* 1901 SEPIKE, (21), 24-28.
3. Iobidze, M. (2018). Appropriateness of ability grouping in English as a foreign language in Georgia. *IRCELT 2018 Conference: 8th International Research Conference on Education, Language and Literature*. Tbilisi, International Black Sea University, vol. 2, 318-322.
4. Iobidze, M. (2019). Effective metacognitive strategies to boost English as a foreign language reading comprehension**.** *Journal of Education in Black Sea Region*, 4(2), 116-137.
5. Iobidze, M. (2019). Using metacognitive strategies to overcome challenges in essay writing (Case of High School Students of Georgia). In *Modern Trends in Education: Perspectives for Reform Initiatives in Georgia* (pp. 75–85). Saarbrücken: LAMBERT Academic Publishing.